

# ს ი ა ნ მ ი

ქართული  
საბავშვო ჟურნალი

№ 5 1938 წ.

გამოცემის წელი 29-XV

ფასი 60კ.



7/12 8 49  
511

როდესაც კირილემ ყოველდღე ახალი პალტუკების კეთება დაიწყო ეს არავის არ გაკვირვებია და ჩვეულებრივ მოვლენათ ჩასთვალეს; მაგრამ როდესაც ოდესღაც დაიწყო აქოთება, მაშინ კი ყველა დარწმუნდა, რომ კირილე შეყვარებული იყო.

არავინ იცოდა ვინ იყო კირილეს გულის დამპყრობი და ვინ გახსნა კირილეს გულში მოდრეიფე სადგური. კირილე ამას მეტად საიდუმლოდ ინახავდა, რადგან თითონაც არ იცოდა თავისი ნესტანის ვინაობა. ერთხელ შემთხვევით მოჰკრა ქუჩაში თვალი ტანშოლტა ქალს და მის გულში მაშინვე ატყდა როგორც ჩვენი პოეტები იტყვიან ხოლმე „პურგა და პაპანება“.




გათავდა კირილეს მშვიდი და უწყინარი ცხოვრება. წვრილწვრილი კომბინაციები ბუხპალტერიაში და თითო-ორიოლა ქაფი. კირილეს სულთან ერთად მისი ბუხპალტერია აფორიაქდა. კომბინაციები დამსხვილდნენ, გაბიუროკრატიდნენ და საოცრად გააძნევეს საბუთებში თავიანთი თავის გაფორმება.

კირილე იძულებული იყო ბედს შერიგებოდა, რადგან სიყვარულის დრეივი ხან აახლოებდა თავის ნესტანთან და მისი გაცნობის იმედი თითქმის ხელშესახები ხდებოდა, ხან კი მოულოდნელად ამორებდა და უხილავს ხდიდა.

ვერაფრით ვერ მოახერხა კირილემ ამ შესანიშნავი უცნობი ქალის გაცნობა. მეორეთ ის თეატრში ნახა ერთერთ რეცენზენტის მიერ კვალიფიცირებულ, ნიჭიერ სპექტაკლზე და როდესაც შინ ბრუნდებოდა კისრის ტკივილი იგრძნო. მერე გაახსენდა, რამ მთელი წარმოდგენის განმავლობაში მხოლოდ მისი კეფა იცქირებოდა სცენისაკენ, ხოლო თვალები...

რა არ სცადა კირილემ, რომ გაეგო მაინც იმ ქალის ვინაობა. არაფერი არ გამოუვიდა. ბოლოს გადასწყვიტა გარეგნობით მაინც მიეჭია მისი ყურადღება და თავის ტანს უნიჭო მწერლის წიგნით დაუწყო ძვირფასი ყდებით შელამაზება.

მართალია ცოტა ძვირად კი უჯდებოდა თავისი ამგვარად გაშინაარსება, მაგრამ დეფიციტი ბუხპალტერიაზე გადაჰქონდა.



რაც დრო გადიოდა უინი თანდათან უფრო უღვივდებოდა და ერთ მშვენიერ დღეს კიდევაც დაიფიცა.

„ან მე უნდა ვიყო, ან ის ქალი ჩემი უნდა გახდეს. ცოლშვილი გამიწყდეს თუ ასე არა ვქნა“.

ერთ დილას როდესაც კირილე სულაც არ ფიქრობდა იმ ქალზე

და წარსული ხუთიათასიანი კომბინაციის „ლიკვიდაციის“ გზებს გეგმავდა, სამსახურში მისვლისთანავე უთხრეს:

- კირილე, სად ხარ აქამდის, იქ ვილაც ქალი გელოდება. მერე რა ქალია, არიქა მიდი ჩქარა!
- ვინაა?
- რა ვიცი, წადი ნახე.

კირილემ აჩქარებული ნაბიჯით გაიარა დერეფანი, კარები გააღო და...კინალამ მუხლებში ჩაიკეცა.

მისი ოცნება, ალვატანიანი თვალუყუჟნა ქალი იქვე იჯდა მაგიდასთან, მუხლებზე პორტფელი დაედო და ელოდებოდა.

ელვის სისწრაფით წარმოდგინა მოქმედების გაგრძელება კირილემ:

...ალტაცებული ნაბიჯით მიუახლოვდა...  
ხელზე ეამბორა...  
„სადა ხართ აქამდის — თვლების ნაბევით უთხრა ქალმა, — განა მე უნდა მოვსულიყავი თქვენთან. არა გრცხვენიათ, აი მოვედი, ჩემო მბრძანებელო...“

კირილეს მოთმინება აღარ ეყო, ქალი ხელში აიტაცა, პირდაპირ გააბიჯა, წავიდა, წავიდა და ლურჯათ განათებულ ოთახში შევიდა, რბილ ტახტზე ისროლა ვნებით მოთენთილი ქალი, ერთხანს შორიდან უცქირა გარინდებულმა, მერე ეცა, ხელი მოხვია, დაღეწა, დაამტვრია და მთელი სხეული დაუკოცნა. „ახლებს გიყიდის“ ძახილით ტანსაცმელი მთლად შემოახნია ტანზე და ალტაცებულათ დაუწყო ცქერა ქალს. შემდეგ მოწყდა ადგილიდან გაქანა...



- სკამს ფეხი წამოჰკრა და გამოიერკვა.
- ქალი შეირხა და ფეხზე წამოდგა.
- უკაცრავად თქვენ ჩემთან... — შეეკითხა კირილე და პორტფელი განზე დადო.
- თქვენ ხართ კირილე?..
- დიახ.

კირილეს გულს სულ ბაგაბუვი გაჰქონდა. როგორ არ დაიჯეროს ბედი კირილემ. საოცნებო არსება პირდაპირ ეახლა. ის არსება, რომლის გაცნობა ოცნებათ ჰქონდა გადაქცეული. რა უნდა ნეტავი ახლა კირილესთან? ან რა უნდა სთხოვოს რომ არ შეუსრულოს? მთელს ქვეყანას გადააბრუნებს მაგის გულისათვის. ნეტავი საშინლად საძნელო საქმეს დაავალბდეს, იმისთანას, რომლის გაკეთებას მსოფლიოში ვერავინ შესძლებდეს კირილეს გარდა.


ასეთი ფიქრები უტრიალებდა თავში კირილეს, რომ ამ დროს ტურფა და მშვენიერმა ქალმა გახსნა ბაგეთა კონტოკორენტი, ანგარიშვალდებულ პირივით სახედ იღო უმანკო ღიმილი და აყურის ხმით მოახსენა:

- ამხანაგო კირილე, მე დავალბებული მაქვს ჩავატარო თქვენი ბუხპალტერიის რევიზია.
- როგორ?!
- მე მგონია. გასაგებად ვთქვი — რევიზია.
- თქვენ?
- დიახ. რა, გიკვირთ?

ქალმა დადო თავისი პორტფელი, გაიხნა პალტო, დაჰკიდა, მობრუნდა კირილეს მაგიდისკენ, სკამი მიიღვა, დაჯდა და საქმიან კილოთი უთხრა.

- დავიწყეთ.
- მთელი თვენახევარი მოუნდა რევიზორი ამ უშინაარსო უნიჭო ძვირფას ყდიან წიგნის წაკითხვას, რომელსაც „კირილე“ ერქვა სახელად.

კირილეს კი ის სწავდა და დაგავდა, რომ პროკურორთან გაგზავნილ სარევიზიო დასკვნას მისთვის საოცნებო არსება აწერდა ხელს.



ბროსკი: — ბალკანეთში მაინც გამგზავნე, ჰერ გიტლერ, პირობას გაძლევ მეტს აღარ გავბიოთურდები!

## == ე ლ ვ ა ==

### „უცხოვი ჯიჟის თევზები“

ლონდონი. ინგლისელმა მეთევზეებმა გუშინწინ ნემსკავით დაიჭირეს სამი უცხოვი თევზი. თევზები იშვიათი ჯიჟისანი გამოდგნენ: აგებულებით წააგავდნენ იტალიურ საწყალქვეშო ნავებს. თევზები მთავრად პრემიერ ჩემბერლენს. ჩემბერლენმა ვინაიდან „ვერ იცნო“ თუ რა ჯიჟისანი იყვნენ ეს თევზები „ნანადირევი“ უკანვე გაუშვა წყალში.

### ოკეანის

„უცხოვი ადგილი“. გუშინ ერთერთ კლინიკაში „მკურნალმა“ ფაშონ ეპგერმგლეჯმტეინმა ორი კბილი ამოუღო ბრიტანულ ჯაშის ლომს. მიუხედავად ლომის თავუბის საბედისწერო ტკივილებისა, ლომის პატრონები თავს მშვიდად გრძნობენ.

### იაპონელთა გვირობა

ხანკოუ. ყვეთელი მდინარის ჩრდილო ნაპირთან იაპონიის ჯარების ნაწილმა ჩაიდინა ერთი გამოუთქმელი გვირობა. საათნახევარს სირბილის შემდეგ შეამჩნია, რომ ვერც ერთი ჩინელი ჯარისკაცი ვერ დასწოდა.

### სტატისტიკოსის ცნობით

ვენა. უკანასკნელ ხანებში ავსტრიაში ძალიან შეთხელდა გერმანელ მოქალაქეთა რიცხვი. აქაურ სტატისტიკოსის ცნობით უკანასკნელ ხანებში თითოეულ ავსტრიელ მოქალაქეზე მხოლოდ ორი გერმანელი ჯაშუში და ერთი ტერორისტი მოდის.

### დიდი ბანკები

ბერლინი. ავსტრიის დაპყრობასთან დაკავშირებით ოტელ „კუშკამხმარში“ შესდგა დიდი ბანკეტი. დამსწრეებმა პირველი ულუფად მიირთვეს ჰიტლერის წიგნის „ჩემი ბრძოლის“ ოთხი ფორმა უყლოთ და ჩაროზად ცამეტი გერმანული ფირმის ტანკი.



— როგორი მშვიდობიანობის ანგელოსი ხარ შე, სალახანავ, დამშვილდი, კამფეტები შეცეცხლე, თორემ ორ წუთში შენი ბურღა ალარ იქნება!

იყო და არა იყო რა, იყო გურჯაანის დაწეებითი სკოლის მე-2 კლასის მასწავლებელი ელიკო გიგინეიშვილი; ენერგიული, მუყაითი, საქმისა და მოწაფეთა მოყვარული, ბედნიერი ცხოვრების მოხარული, სკოლაში დროს გაუცდენლად მოარული, ერთი სიტყვით, ნამდვილი საბჭოთა მასწავლებელი.

მაგრამ ერთი ნაკლი ელიკოსაც ჰქონდა: იგი იყო ქალი, და როგორც ასეთი, ზოგი მოჩინოვნით მამაკაცისათვის „დაბალი ღობე“.

თუ ეს ასე არ იყო, მაშ რა უნდა ყოფილიყო ის, რაც იყო. იყო...

მაგრამ ეს სრულიად ზღაპარი არა ყოფილა, არამედ სინამდვილე, მწარე, დამცინავი და დამწიხლავი სინამდვილე...

ელიკო იყო ფეხმძიმედ. პირველ ნოემბრამდე, ფეხმძიმობისა გამო, შევებულებაში წავიდა. ელიკოს შეეძინა მშვენიერი გოგონა, რომელსაც ნანული დაარქვა. ყველაფერი კარგად ჩატარდა და ასევე წავილოდა კიდევ, რომ ელიკოს ნანულის შექმნა სინანულად არ გადაქცეოდა.

შვებულება რომ გათავდა, ელიკო დაუბრუნდა თავის საყვარელ საქმეს: სკოლასა და მოწაფეებს, მაგრამ სკოლაში დროებითი მასწავლებელი იყო გვარად კვეზერელი. კვეზერელს ზერელედ საქმის კეთება არ უყვარს, იგი ფორმალურად მასწავლებელია და, მაშახადამე, „თავის ადგილს“ „სხვას“ როგორ დაუთმობდა უომრად.

და ატყდა ცნობილი „მერცხლისა და ჭიანჭვის ომი“...

გიგინეიშვილი აღმოჩნდა ჯერ მერცხლის როლში, მაგრამ მალე ეს როლი ცნობილი „რწეილის“ როლად შეეცვალა.

გიგინეიშვილი — „რწეილიც“, დარჩენილი სახტად, ახტა, დახტა, მივიდა დირექტორთან და სთხოვა: „ამხანაგო დირექტორო, „ცათა“ სწორო, ჰკარი დინგი კვეზერელსა, ენაგრძელსა: დასწერე ბრძანება, ნუ გენანება დაშვება ჩემი ჩემ საყვარელს კლასშიო...“

დირექტორმა უპასუხა გიგინეიშვილსა — „რწეილსა“: „მე ბრძანება სრულიად არ შენანება, დავსწერ, მაგრამ შენ რომ ჩემთვის „რკო“ ანუ განყოფილების ბრძანება არ მოგიტანიაო?!...“

გიგინეიშვილი ახტა, დახტა, მივიდა განყოფილებასთან და სთხოვა: „მუხავ, მომე „რკო“, — ბრძანება, მინდა მისი გაქანება სასწრაფოდ დირექტორთან, რათა მომცეს მან „ჯაგარი“. ბრძანება მაგარი კვეზერელის მხარეო...“

განყოფილებამ თუმცა მისცა გიგინეიშვილს ბრძანება, განყოფილების გამგის, მახარაშვილის ხელმონაწერი, რომელიც გიგინეიშვილმა მიიტანა სკოლაში, მაგრამ კვეზერელი ეცა მას, ხელი ჰკლიჯა, გამოჰკლიჯა ხელიდან ის ბრძანება და ნაკუწ-ნაკუწად აქცია, ენაიდან „არ იყო ზემდგომ ორგანოთა სანქცია“.

გიგინეიშვილი ახტა, დახტა, მივიდა რაიკომში და სთხოვა: „მომეცი სანქცია, სანქციას მივეუტან განყოფილებას, განყოფილება დასწერს ბრძანებას, ბრძანებას მივეუტან სკოლის დირექტორს, დირექტორი დაჰკრავს ტორს, ე. ი. დასწერს ბრძანებას, კვეზერელი იზამს განებას, ე. ი. დამიკლის ჩემს კლასს და მეც დავეუბრუნდები ჩემს საყვარელ სასარგებლო საქმეს“...

რაიკომში ასე უპასუხეს ელიკოს: „სანქციას დაგიწერთ, მაგრამ განსახკომიდან რომ ბრძანება არ მოგიტანიაო...“

გიგინეიშვილი ახტა, დახტა, მივიდა განსახკომში დაწეებით და საშუალო სკოლის სამმართველოს უფროს ამხანაგ იმედაშვილთან და მოახსენა: „ამხანაგო იმედაშვილო, იმედი და სასოება არ მოგაკლდეთ, მიბოძეთ ბრძანება, ბრძანებას მივეუტან გურჯაანის რაიკომს (კვეზერელი იქ მიმართავს ომს), რაიკომი დამეხმარება, სანქციას მომცემს, სანქციას მივეუტან განყოფილებას, განყოფილება მომცემს ბრძანებას, ბრძანებას მივეუტან სკოლის დირექტორს, დირექტორიც გამატარებს ბრძანებაში, კვეზერელმა თუ დამიშვა კლასში“.

ამხ. იმედაშვილმა მისცა გიგინეიშვილს ბრძანება №955-25: „ვინაიდან ელიკო გიგინეიშვილი დაბრუნდა შევებულებიდან, დაუშვით თავის ადგილზე, ხოლო ო. კვეზერელი გადაიყვანეთ კოტეხის დაწყ. სკოლის მასწავლებლად, სადაც ის დანიშნული იყო“.

გიგინეიშვილამაც ეს ბრძანება მიიტანა რაიკომში. აქ ამ ბრძანებას ახედ-დახედეს, სხვა ვერაფერი გაბედეს და გიგინეიშვილს

უთხრეს: „ყველაფერი კარგია, რაც კარგად თავდებაო. შენი ბრძანებაც, იმედი ნუ მოგეშალოს, იმედაშვილით თავდება, მაგრამ ვინაიდან აქ არ ვხედავთ ჩვენ კომისრის ხელწერას, ამიტომ უკანვე გიბრუნებთ ამ „ქესქერას“ (საქმის ქალაქს). დაგეხმარებით ვერც ვერასო“.

გიგინეიშვილი ახტა, დახტა, მივიდა ხევ განსახკომში (არ გეგონოთ ეს თითის კვრა ლომში, კაი გვარიანი გზა და მანძილია კახეთიდან თბილისამდე, ხარჯსაც რომ თავს დავანებოთ) მივიდა და სთხოვა: „ამხანაგო ერმილე, თქვენის მხრით არ იქნება ეს ზედმეტი სირბილე, რომ მომცეთ ერთი და უკანასკნელი მკაცრი ბრძანება, ამდენი თავნება ხალხის დასაწყნარებლად და ყველასი თავთავის ყალიბში ჩასაყენებლად, რათა მე დევნილი და შევიწროვებული პატიოსანი მუშაკი აღდგენილ ვიქნე ჩემს კანონიერ უფლებებშიო“.


ამხანაგმა ერმილემ, რა თქმა უნდა, იმავე წუთს დასწერა ბრძანება №959: „კატეგორიულ წინაღობას გაძლევთ ელენე გიგინეიშვილი დაუშვით თავის ადგილზე, ხოლო ო. კვეზერელი გადაიყვანოთ დაწყ. სკოლის მასწავლებლად“—ო, მაგრამ...

მაგრამ მაგარი ის არის, რომ კომისრის ბრძანება დღესაც არ არის განაღებული და პატიოსანი მასწავლებლის გიგინეიშვილის შრომა დღემდისაც არ არის განახლებული...

ენუშა.

## შეითხვევა კაფეში

ან. ღონისა.



— ოფიციალტ!.. ეს რა არის წიწილიანი კვერცხი მომიტანე?!  
— ხმა სამზარეულოდან: რა გაყვირებს, წიწილა უფრო მეტი არა ღირს?

# „იპოლიტე რა ბიჭია“ — ნაქინძარის თეატრში



ანუ  
რეჟისორის მიხაკვა რაიონული გაზეთებისათვის

მართალია ამ ჩვენს თეატრს ჩავარდნები ჰქონდა ძველად მაგრამ ახალ პრემიერით თავი ერთობ ისახელა.

დრამატურგმა სიკინჭილამ სიძნელეებს აუხვია, (თუმცა თეკლემ პირველ აქტში კულისებში გაუხვია.)

მე მგონია ავტორისთვის არ იქნება ეს საწყენი, პიესაა მხიარული რომ არ იყოს მოსაწყენი.

ამ პიესამ ბნელი ფარდა სამუდამოდ აგვიხადა, სიკინჭილამ დრამის ფონზე ორი მხარე დაგვიხატა:

ერთი მხარე: აბა კარგად მოიგონეთ ჯემალ-ფაშა, მეორე კი — იპოლიტე სახლში სადილს როგორ ხარშავს.

აქ ავტორმა ვერ სძლია და ვერ გაგვიხსნა დრამის კვანძი, მაგრამ ვამბობ: რომ პიესა ჩვენთვის არის დიდი განძი.

სანდროს შერთო პეტრეს ცოლი ახალგაზრდა იულია; ავტორის ეს გამარჯვება ერთობ ტრადიციულია.

არტიტული შესრულება არის ფრიად საქებარი, ფრონცკმა კარგად შეასრულა „იპოლიტეს მეგობარი“.

გრიმიშვილზე მე არ მინდა რომ დავსწერო რამე ძვირი, კარგი იყო, ცხოვრებაშიც რომ არ ქონდეს გრძელი ცხვირი.

პარიკაძე — მუსიკაზე ფეხებს კარგად აყოლებდა. როლშიც კარგი იყო, მაგრამ პაპიროსს ვერ აბოლებდა.

ნოტიშვილის მწყობრი ჰიმნი დიდი ნიჭით აიხსნება, თუმცა პიესა არას კარგავს თუ მუსიკა მოიხსნება.

რეჟისორმა ვერადავამაძემ ვერ მონახა სწორი სტილი, ვერ გავიგეთ: იპოლიტე ბოლო აქტში რატომ სტირის...

სჩანს დამდგმელმა ვერ დასძლია ელექტრონის მწვანე ფონი, მხატვარმა კი ბაქოს ნაცვლად დაგვიხატა ზესტაფონი.

არტისტ ვანოს უნდა ვუთხრათ: მთვრალის როლში ნუ დათვრება, დასკვნა: თეატრს ეს პიესა გამარჯვებით ჩაეთვლება.

სიკინჭილას მძიმე დრამა „იპოლიტე რა ბიჭია“ ნაქინძარის თეატრისთვის ერთობ დიდი ნაბიჯია.

კუკარაჩა...

## ჭიათურის ნათლის-მცემელი

თავმოაწონე

ნახ. დონისა.

ჭიათურას ნათელსა ჰფენს „პედაგოგი“ ახრახაძე, მოწაფეებს რომ უყვირის, „ნაყილია თითქო ხმაზე“... მის საქმეს ხელს აფარებდა ჩინჩალაძე რაიკომში, სკოლის თოფი რომ მიუძღვნა, მიდიოდა, განა, ომში?... იმით მხოლოდ თვის ხელს ჰბანდა სხვისი ხელის მითვე მბანი, თორემ თოფი, თბილისიდან სკოლისათვის მონატანი, განა, უნდა ჩინჩალაძეს შეხვედროდა თუნდაც წამლად? მაღ ქვეყანა ჭურად ჰსახეს, თუ გათელილ ფეხქვეშ ტრამლად... შემდეგ, როცა ჩინჩალაძე მიაბრძანეს, სადაც ჯერა, ახრახაძემ მისი ლანძღვით მთლად ქვეყანა გააჯერა: „რას მიქვიან ჩინჩალაძე? ვის სცნობია, ვინ ყოფილა“... ამით სკოლაც მოირიგა და სხვაც მოიკმაყოფილა... და სკოლისთვის ნაყიდ თოფებს თუ აკლია ცალი ღერად, ახრახაძე აქ არ არის, ვით ქვემეხი, მაგეირად!..



— რა დაემართა ჩვენს ვასოხ, რომ ყოველ წუთში თავს ივარცხნის და ტანსაცმელზე კი არ იყურება?  
— რა ქნას, თავმომწონე კაცია.

# ქრივიკა და ბიბლიოგრაფია

კრიტიკული წერილი გარიგალდ უცნობელისა, წაკითხული საქუთარ ბინაზე.



ქრივიკა  
ბიბლიოგრაფია

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც დღის სინათლეზე გამოვიდა უდავოდ ნიჭიერი, უთუოდ გონიერი, აუცილებლად გამჭრიახი, უსათუოდ გემოვნების მქონე, უეჭველად შემოქმედი და ჭეშმარიტად პოეტის გერმოგენ ბაზალეთისტიპისპირელის ლექსთა რჩეული კრებული.

მგოსან ბაზალეთისტიპისპირელის პოეზია ეს გახლავთ პოეზია გაცოცხლებული და ლექსთა და პოემათა ქარავნები მიმოიხრებიან ლირიულ ექვსების ჟღარუნით.

დიხს! ეს გახლავთ პოეზია სილამაზისა, სიკეკლუტისა, ბედნიერებისა და ყოველგვარ ადამიანობისა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ამით სრულიადაც არ ვცდილობთ ხელი დავაფაროთ იმ შეცდომებს რაიც მგოსან ბაზალეთისტიპისპირელს წარსულში ახასიათებდა.

აი, მაგალითად მისი ლექსი: „გამგზავრება მეუღლითურთ“ (გვერდი 57) მოვიყვანოთ რამოდენიმე სტრიქონი, რომელიც ცხადპყოფს მგოსნის მაშინდელ სახეს:

ვაგონ-ვაგონ, — მატარებელ,  
ტყე-ტყე, ბოლ და ბოლ.  
ბაღია-ბაღია მატარებენ,  
ფიქრნი წოლ და წოლ.

აქ არის შემოქმედების წმინდა წყალის ფორმალისზამდე დაყვანა. მაგრამ, ვინაიდან მგოსანი ძიების წილში იმყოფებოდა, ამ ნაკლს რაგინდ ცდილიყო, თავს მაინც ვერ დააღწევდა.

წავიდეთ ქვევით.

იგვე კრებული, (გვერდი 106, ხანა 13).

ბოგირ-ბოგირ აწკარუნებს,  
ტელეგრაფის ქნარს.  
ქნარზე ქმარი აულარუნებს,  
ცოლმა სევდა ჰქნას.

სტრიქონებში ნათლად გამოსჭვივის მგოსნის იდეური სიღარიბე, მაგრამ ყველასათვის ცხადია ეს გარემოება, რომ ამავე დროს ეს არის კაბინეტური მუშაობა ფორმასა და სტილზე, რამაც შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ და არავისი არ გვეშინია, დადებითი შედეგი გამოიღო უთუოდ მგოსნის შემდგომ ზრდის, სიმწიფის და ოსტატობის მწვერვალების დაპყრობის საქმეში. წავიდეთ ქვევით.

გორაკ-გორაკ, ნაციხარი,  
გვირაბ ვალმა დღე,  
ის აღარ ხარ, რაც იყავი,  
გაკაფულა ტყე!

აი, უყურეთ, აქ მგოსანს აშკარად ემჩნევა იდეურ სისწორის ჩანასახები. ამ სტრიქონებში დეკორატიულ ჩვენებებთან ერთად ასახულია და მოცემულია მხატვრულ სახეებში სატყეო მეურნეობის ზრდისა და განვითარების ეტაპები.

ამავე დროს არ გამოუშვით მხედველობიდან ის გარემოება, რომ მგოსანი გერმო-

გენ ბაზალეთისტიპისპირელი მუშაობს ლექსის ისეთ გამოვლინებებზე, რომელიც მკითხველის ესთეტიურ რაობას აკმაყოფილებს.

საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი სტრიქონები პატივცემულ გერმოგენისა.

ჩიტი მიდის აფრიკაში,  
შემოდგომის ბრალია.  
ქათამა ჯერ ღმერთს შეხედა,  
მერე წყალი დალია.

მართალია აქ ღმერთი არის ნახსენები, მაგრამ ვინ შემეკამათება იმაში, რომ მაღალ კულტუროსან მგოსნის მიერ ეს რელიგიურ ზრახვით იყოს გამოჩნული და ნახმარი. არა, არა და კიდევ არა. ახლა განვსჯერიტოთ ესტეტ მგოსნის ობიექტური პოზიცია ყოფაცხოვრების საკითხებში.

ტიროდა ბავში მშვიერ შაშვივით,  
ლოყაზე ცრემლი ერტყა ლენტივით,  
ფიქრები ქროდენ თავში რაშვივით —  
სამართლიანი ალიმენტივით.

აი, როგორ აწუხებს, მგოსნის შინა ბუნებას თანამედროვე ოჯახის პრობლემები, ფიქრი, სამართლიანი ფიქრი... სამართლიანი ალიმენტივით.

განა ამ შესანიშნავ, უკვდავ მეტაფორებს სიამოვნებით არ მოაწერდნენ ხელს ჰომეროს ბალზაკი, ან და იოვანე გუტენბერგი? ოლონდაც, ოლონდაც!

უდაოდ ნიჭიერი გერმოგენ ბაზალეთისტიპისპირელი ასეთივე ცხოველყოფილურ მარილიანობით იღებს პეიზაჟის ფართო ტილოებს და მკაფიო, ნათელი, სადა და უბრალო, მკითხველისათვის გასაგებ ფერებით ხატავს. და აჩუქურთმებს ჩვენი ქვეყნის უწარმატეს წალკატოვან ბუნებას.

როს ანათებდა მთვარე ფარანს,  
ტირიფების ძირში,  
მოყვებოდა მწყემსი ფარას  
სალამურით პირში.

როს ღრუბელმა ცა დაფარა  
ჩაბალახის სირმებივით,  
მაშინ სერზე ცხვართა ფარა  
აკუნტრუშდა ირმებივით.

როცა კაცი მაწონს ისხამ,  
ზიხარ, ჭამ და მტერს არ ელი,  
რადას იზამ, რადას იზამ  
რომ გამოხტეს ტყიდან მგელი?

ვაი — მგელი! დაფრფხა ცხვარი.  
ცაზე მთვარეც გარბისა,  
სუფევს ბრძოლა ცხარზე-ცხარი,  
მგლისა და მეცხვარისა.

აქ ჩემი განმარტება მკითხველისათვის სრულიად შედმეტად მიმჩნია. იმის შესახებ თუ როგორის ოსტატობით თავისებურ უბრალოებით არის ასურათხატებული კლასობრივი ბრძოლის მომენტები მთაში.

ახლა განვიხილოთ როგორია გერმოგენ ბაზალეთისტიპისპირელის კალამი კლასიურ ბრძოლათა გმირების ასახვაში ისტორიის ფურცლებზე.

ავილოთ მისი პოპულარული პოემა ოძელაანთ გოლიათი. აი, ერთი ადგილი პოემიდან:

დილა ბრწყინავდა მზიან დღესავით,  
წელიწადში ხომ თორმეტი თვეა,  
არსენა იდგა როგორც ხეხავით,  
ოდეს მოარტყეს ცხრამეტი ტყვია.

ან და ქვევით.

აქ გამძაფრებული ფერადებით ნელნელ ეშვებიან პოემის ზეაწეული სტრიქონები და მიძიმდ ქარგავენ გლოვით აღწერილობითი სურათს. მე არ მეგულება მკითხველი, რომელსაც ორიოდე მარგალიტი მაინც არ დაკიდებოდეს წამწამზე ამ სტრიქონების წაკითხვის დროს:

დუღუნებს მტკვარი, თავისით მიდის,  
ბანს აძლევს ერი ცრემლის მთხვევლი  
გატეხილ ხმალზე დააჯდა ჩიტი  
და ჩიტიც იყო ბოდბისხვევლი.

დიხს, ლამაზია გერმოგენ ბაზალეთისტიპისპირელის ჩიტი. გერმოგენიც ჩიტივით ფრთამალია.

ესლა ნება მომეცით, ვითარცა ჩიტი ვერმოგენისა, ჩვენც გადმოვფრინდეთ შავდრუბლიან წარსულიდან, ჩვენს ლაქვარდოვან მყობადში. გადავფურცლოთ მე-175 გვერდი. მოძიძიარ სახით ბედნიერების კვარცხლბეკზე შემდგარი თანამედროვე ფიალით ხელში (ხაზი ჩვენი) იგონებს განვლილ ცხოვრების სიდუსტორის ხანას (პრიმენშევიკან) წარმოიდგინეთ მგოსანი მისი სანუკვარი სტრიქონებით:

თეთრი გიორგი ზღვაში ჩავარდა,  
გავარდა ფიშტო განახლებისა,  
ჩვენი ცხოვრება გადასხვავარდა  
ვართ ლამაზოკები განათლებისა.

და სხვა ბევრი ამგვარი თვალმარგალიტნი მიმოაპნია მგოსნის ბაეკმ. დამსწრე საზოგადოების წინაშე გამოთხოვებისას, მგოსანს შემდეგი ლირიული რამ აღმოხდა:

სოფლის ბოლოში მივყვები ქალებს,  
გადაჩვეული ფეხით სიარულს;  
სიო იჩქითათ მოაშრიადღებს,  
ქალაქის შავას ინდუსტრიალურს.

ვეჯიბრებოდით: კვახე, ტაროზე,  
არ ილეოდა მოსავლის განძი.  
ესლა ალბათ ძვეს ბუხრის თაროზე  
ალავერდებით დაცილილი ყანწი.

ნახვამდის სოფლის უბრალოებავ,  
დოქებო სუფრას შემოდგმულუებო,  
სოციალისტურ ტაბლის მშვენებავ,  
რეალისტურა ხაჰაპურებო.

დონ-კიხოტი, პაპუნა

# ნათ-ნუბე

ჩვენებიანთ თეთრი კრუხი  
წაუღია ძერასა,



ალიმენტის გადახდა სჯობს  
კაპას ცოლის ცქერასა.

ათი თუმანი მოჰპარა  
ჯიბგირმა ბაბო-მარინეს,




ჯიბგირი უწესობისთვის  
მანეთით დააჯარიმეს.

სასაფლაო გაგვიუქმეს  
და ისე შორს გააშენეს —



ბიძაჩემი სიკვდილამდე  
ცხრა დღით ადრე გაასვენეს.

უეცრად გარდაიცვალა  
სიკოს მამა ხოსია,



ფეხები ვერ ჩაუტიეს  
სტანდარტულ კუბოშია.

დაგველუბა ზეინკალი  
გიორგი ქალანთარიო,



ექიმი ჰყავს ნაცნობი და  
ყოველდღე ავად არიო.

ავტომატმა ტელეფონმა  
გუშინ ძალზე გამახარა:



ორი შაური ჩავაგდე —  
ცხრა აბაზი დამაყარა

პატეფონის ნემსს ვეძებდი,  
ძლივს ვიშოვნე ორი ცალი —

უნივერსალის კოსტუმმა  
მომაყენა ზარალი,



ველარ ვარჩევ რომელია  
პიდუეკი ან შარვალი...

ჩემმა ცოლმა „საქავეჯის“  
ტახტის ყიდვა ინებაო,



რომ არ გატყდეს ამიკრძალა  
ცხვირის დაცემინებაო.

„დავესკათ“ გამომატანეს  
გიტარა და როიალი.





# „გაღვირვითი“ ინსპექტორები



სიღნაღი. რაიფინგანი. უფროსი ფინისსპექტორის ტურიაშვილის კაბინეტი. აქ ცხოვრება სდულს და გადადულს, ვითარცა ლობიო ჭოთანში. უფროსი ფინისსპექტორი ტურიაშვილი დაკარწყანებულნი ზის და რეზოლუციებს აწერს ქაღალდებს:

- „დაედოს შტრაფი...“
- „ჩამოწეროს ნალოგი“.
- „მიეცეს ლგოტა.“
- „გადახდეს პენია.“
- „დაეწეროს პადახოდნი ნალოგი.“
- „ჩაირიცხოს მესტნი სბორში.“
- „მიეცეს პრედლაჟენია...“

იღწვის ადამიანი! ასეთი მუშაობის დროს კაცს შეიძლება გონებრივი დაღლილობაც დაემართოს და ამის შედეგად შედეგათის შავივრად ორმაგად დაბეგროს ობიექტი; ან პირიქით: დასაბეგრი გაანთავისუფლოს.

შეიძლება ამის შედეგი იყოს, რომ ფინისსპექტორს შემდეგი კაზუსი მოუვიდა:

„მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკას“ პროცესის დროს წითელ წყაროშიაც ჩატარდა მიტინგები, სადაც მშრომელებმა ერთხმად მოითხოვეს ხალხის მტრების დახვერტა.

ასეთი მიტინგი შესდგა წითელ წყაროს — ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაშიც. სხვებთან ერთად მიტინგზე გამოვიდა კოლმეურნე ფილიპოვი, რომელმაც სთქვა, რომ იგი, მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად მოითხოვეს ხალხის მტრების მოსპობას და გაცამტვერებას.

მიტინგმა ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, სადაც მოითხოვა საზიზღარი ბანდის განადგურება, სოციალიზმის მტრების მოსპობა.

დაიწერა ოქმი, სადაც, სხვათაშორის აღინიშნა ამხ. ფილიპოვის გამოსვლაც.

ჩვენ არ ვიცით, რა ჯადოსნობით მოხვდა ეს ოქმი სიღნაღის რაიფინგანში. ფაქტი ისაა მხოლოდ, რომ მოხდა და პირდაპირ უფროსი ფინისსპექტორის მაგიდაზე აღმოჩნდა.

ფინისსპექტორი ტურიაშვილი, როგორც აღვნიშნეთ, გადატვირთული კაცია. სადა აქვს მას დრო, რომ შემოსული ქაღალდები თავიდან ბოლომდე იკითხოს და გაეცნოს მათ შინაარსს! ან რა საჭიროა მისთვის ეს? ტურიაშვილი ისეთი კაცია, რომ მთელი თაბახი რომ მოუტანოთ, იგი ორ სტრიქონს წაიკითხავს და ხელად ჩაგიბულბულვით საქმის შინაარსს.

აი თუნდაც ეს შემთხვევა: მან შუაზე დახედა ოქმს და თვალი მოჰკრა:

„მოხუცი კოლმეურნე ამხ. ფილიპოვი მოითხოვს...“

— აჰა! მოხუცი კოლმეურნე... ჩაილაპარაკა სულგრძელმა ტურიაშვილმა, — რა თქმა უნდა, მოითხოვს გადასახადის ჩამოწერას... პაეალუსტა... ხელი წამოაუსვა თავის გამობრძმენდილ კალამს და ოქმს დაადო რეზოლუცია:

„დასკვნა. აღნიშნული პირი ფილიპოვი, ხანში შესულობის გამო განთავისუფლებული იქნას სახელმწიფო გადასახადისაგან.“

ტურიაშვილმა პაპიროსი გააბოლა, თავის თავს ბეჭზე დაარტყა ხელი („ყოჩაღ ბიჭო, ჩემო თავო, მადარიჩი გეკუთვნის აი“) და რეზოლუცია-დადებული ქაღალდი სახბიუჯეტის ინსპექტორ გ. ხატიაშვილს გადააწოდა:

— გიორგი, ეს ფილიპოვის განცხადებაა, მოხუცია და ეკუთვნის განთავისუფლება.

— პაეალუსტა! — გამოეხმაურა გიორგი და კოლმეურნეთა მიტინგის ოქმს მანაც წააწერა:

„ბუხ. — ჩამოაწერეთ კულტგამოსაღები, როგორც შეცდომით დაბეგრის.“

ამრიგად, სრულიად აღუშფოთველად, რაიფინგანში საქმეში ჩააქერა კოლმეურნეთა მიტინგის ოქმი, რომელიც გადასახადის პაეტიებას კი არა, ცოფიანი ძაღლების განადგურებას მოითხოვდა.

რაც შეეხება ხანში შესულ კოლმეურნეს ამხ. ფილიპოვს, მას რაიფინგანის ინსპექტორებმა დიდსულოვნად აპატიეს კულტგამოსაღები, რომელიც ფილიპოვს კარგა ხანია შეტანილი აქვს და რომლის გადახდა მას ისევე არ გასჭირებია, როგორც ფინისსპექტორებს რეზოლუციის დადება.

აი რას ნიშნავს დატვირთულობა. ასეთმა პრაქტიკამ, შეიძლება შედარებით ასეთ კუროზებამდეც მიიყვანოს ფინისსპექტორი, მაგალითად:

„შვილო კუჭეჭი! ერთი ჩამოდი და გვენახე, ძალიან გვენატრები...“ სწერს მას ბებია.

„უარი ეთქვა“. — ადებს რეზოლუციას კუჭეჭი.

„ძმაო კუჭეჭი! შენი ცოლი ფეხმძიმეთაა და ამ დღეებში განთავისუფლდება... ალბად ბიჭი იქნება...“

„განთავისუფლებაზე უარი ეთქვას. შეღავათი მიეცეს“.

სწერს რეზოლუციაზე უზომოდ გადატვირთული კუჭეჭი.

„პატივცემულო ამხ. კუჭეჭი! გთხოვთ ამ საღამოს მოხვიდეთ ჩემი ცოლის სახელის დღეობაზე, რითაც დავრჩებით დავალბული...“

„დავალიანება გადახდეს და დაედოს ჯარიმა. თუ არ გადინდის, აეწეროს ნიეთები“. — სწერს პასუხად კუჭეჭი.


ასეთი კუროზები ბევრი მოუვა ტურიაშვილ-ხატიაშვილს, თუ მათ ჭკუას ძალა არ დაატანეს და ფინისსპექტორული ეთიკისათვის მაინც არ წაიკითხეს ის ქაღალდები, რაც მათ მისდით.

აღლარ-აღლარსან.

## სანთლებო გენაცვალეები..

ბორჯომის ელსადგური შეუკეთებელია და ქალაქს ცუდი სინათლე აქვს. კურორტის და ელსადგურის ხელმძღვანელები შეკეთებაზე არ ფიქრობენ.

ძალა აღარ მაქვს, არც მიჭრის მე ძველებურად თვალები. უთქვენოდ აღარ ვარგივარ სანთლებო, გენაცვალეები!



ჩემს სარემონტოთ, საშველათ არ გაანძრის ხელები. არ ვიცი როდის მომხედვენ კურორტის ხელმძღვანელები!

# ახალი მოთხოვნები



## დანებანე.

კახური შეზარხოშებულმა მოსადილებმა საინები ააწკარუნეს. მიმტანი ხელად გაჩნდა მათ მაგიდასთან.

— რას ინებებთ?

— იანგარიშე ჩვენი ნახარჯი!

მიმტანმა საკბილოთი დანაყრებულ მომხმარებლებს საკუთარ საკბილოსავით გადახედა.

— ოთხი ხარჩო, ორი ყაურმა, ერთი მწვადი, ექვსი პური, ერთი შნიცელ პოგამბურცკი, ერთი შპინატი, ოთხი ღვინო — ექვსი თუმანი ვახლავს.

— მგონი გეშლებათ!... არ იქნება ხელახლა იანგარიშეთ.

— ოთხი ხარჩო, ორი ყაურმა, ერთი მწვანილი, ექვსი პური, ერთი მწვანილი, პური, შნიცელ პოგამბურცკი, ღვინო, — შვიდი თუმანი ვახლავთ.

— მგონი ისევ შეგეშალათ, წამოცდა ერთერთ მოსადილეს.

— ხარჩო, ყაურმა, მწვადები, ფხალი, მწვანილი, ისპანახი, ღვინო, ხარჩო ყაურმა, შნიცელ პოგამბურცკი, ერთი მწვადი — რვა თუმანი ვახლავთ.

— შეგეშალათ — კიდეც წამოიძახა ერთმა.

— შეიძლება, ახლავე... ხარჩო, ყაურმა...

— არა, სწორია; გენდობით; როგორ გეკადრებათ! შესძახეს დანარჩენებმა ახალ „ანგარიშის“ გამოყვანამდე და რვა გატყევილი ჩერვონეცი ხელში ჩაუტენეს.

## „დასახლებული“

— თქვენ კიდეც კარგად არ იცნობთ ჩემს გოგონას — ეუბნებოდა სასიძოს მომავალი სიდედრი: — ჩემი ნუნუკო ისეთი ქალია, რომ ადამიანს ცივ ქვაზე დაასახლებს.

— ავშენდები... მართლაც ცივ ქვაზე დამასახლებს ჩემი მეგობარი... — ფიქრობდა საქმრო.

მალე დაქორწინდნენ.

ქორწინებამდე მოკრძალებულია ნუნუკო თანდათან როლში შედიოდა.

— წითელი ბერეტი გიყიდა?

— არა, არ მომწონს.

— ლურჯი?

— არც ის მომწონს. თეთრი ბერეტი მომატანე.

— რომ არ იშოვება?

— კერძოდ ვიშოვი. რვა თუმანი ღირს.

სიძე ხატრს ვერ უტეხდა.

— კოტიკის პალტო მიყიდე!

— 3200 ღირს. სად ვიშოვი მაგის საფასურს? — დალონებით ამბობდა ქმარი.

— სადაც გინდა.

ერთი წლის თავზე ნუნუს შიფონერკა ტანსაცმელს ვერ იტევიდა. სხვადასხვა ფასონის ფეხსაცმელებიც ნუნუს ოთახში იმდენი ეწყო, რომ მისი ბინა ლუქის მალაზიას მოგაგონებდათ.

სამაგიეროდ ნუნუს ბინაზე ქმარი აღარ იყო... ნუნუკომ მართლაც „ცივ ქვაზე დაასახლა“ თავისი მეგობარი სახაზინო ფულის გაფლანგვისათვის.

## ავტობიოგრაფია.

კოპსავაქროში, სადაც ტელეფონი ავტობიოგრაფის აპარატი ეკადა, სინათლე ჩაჰქრა. მაქალაქემ მაინც მოასწრო აპარატთან მისვლა. რამდენიმე წუთის შემდეგ სავაქროში კარტოფილის სანთლები აანთეს. მაქალაქე ისევ ტელეფონის ავტობიოგრაფთან იდგა და ამბობდა:

— ტელასი! ტელასი! ალბად ყველა მანებლები ამ ტელასში სხედან!

— რა საბუთით ამბობ? — შენიშნეს მას.

— ტელასის მუშაკებს სინდისი არ აქვთ, ნამუსი არ აქვთ, თავმოყვარეობაც დაუკარგავთ, ყოველ წუთში სინათლეს გვიქრობენ.

— მერე ტელასის მუშაკების რა ბრალია?

— როგორ თუ რა ბრალია? სინათლეს გვიქრობენ მაგ უსინდისოები... სიბნელის გამო კაპიკიანის ნაცვლად ორ შაურიანა ჩავადე ავტობიოგრაფში.

## განმარტა

ერთი სოფელი მასწავლებელი ფოლკორული ნაშთების შეგროვებას შეუდგა. ამ მიზნით მოწაფეებს დაავალა ეთხოვათ მშობლებისათვის და ნაცნობ-მეზობლებისათვის ძველი და ახალი ეპოქის ხალხური სიტყვიერების ნიმუშების მბობა და შემდეგ შევირდებნ ჩაწერილი მასალა მასწავლებლისათვის გადაეცათ.

— ჩაწერა დამავიწყდა, მაგრამ შეპირად ვიცი ვანაცხადა ერთმა მოწაფეთაგანმა.

— რა იცი?

— ლექსი ამხ. მასწავლებლო! თამარ მეფის შესახებ არის ნათქვამი.

— თქვი!

მოწაფემ თამამად დაიწყო:

თამარ მეფე და ხონთქარი  
მალაშა ღმერთმა წაჰკიდა,  
ზღვაში ჩაუშვა ხომალდი,  
ზედ აღმასები დაჰკიდა,  
შიგ ჩასვა ქართველთ ლაშქარი,  
მრავალ წყალობას დაჰპირდა.

— კარგია, მაგრამ უკვე დიდხინიდან ცნობილი ლექსია. — შენიშნა მასწავლებელმა.

— უცხო სიტყვა ურევია! — შენიშნა ერთმა მოწაფემ.

— რომელი სიტყვაა ასეთი?

— აღმასი მასწავლებლო! ამ პასუხზე დანარჩენ ამხანაგებს ღიმილი მოერიათ.

— აბა ვინ იცის, რა არის აღმასა? — წარმოსთქვა მასწავლებელმა.

— ყველამ ვიცით! გვინახავს! გვაქვს კიდეც! უპასუხეს მოწაფეებმა.

მაშ განმარტეთ, რა ყოფილა ხომალდებზე დაკიდებული.

— ფანქრები! — ერთხმად უპასუხეს მოწაფეებმა: — საწერად არ გვარგია, თორემ ისე მაგარია, რომ შუშას გაჭრის, რკინას გაკვეთავს... გვინახავს! ყველას გვაქვს საწიგნე ჩანთებში ამხ. მასწავლებლო.

## განმარტა

ბაბუა შვილისშვალებს ზღაპრებს უყვებოდა.

— ადამ და ევა ვინ იყვნენ? როდის ცხოვრობდნენ? — შეეკითხნ მოხუცს შვილისშვილები.


— ბიბლიური ადამიანები იყვნენ. ძველი ებრაელების წარმოდგენით ისინი იყვნენ ადამიანთა მოდგმის წინაპრები...

— მე მათი ნახატიც მინახავს! — თქვა უფროსმა ბიჭიკომ: — შიშვლებად არიან დახატულნი, საინტერესოა რატომ ტანსაცმელს არ იცვამდნენ?

— ალბად „მკერავის“ ფაბრიკაში მაშინაც სტანდარტულ ტანსაცმელს ამზადებდნენ და როგორ ჩაიცვამდნენ?! — განმარტა უმცროსმა.



# ჯაკო მანქანა



ეს ამბავი თუმცა ტიპიური არ არის, მაგრამ მაინც საინტერესოა თავისი შინაარსით.

ერთერთ სარეწაო არტელის თავმჯდომარემ — პეტრემ ავტომანქანა მიიღო: სრულიად ახალი, „მ-1“ ტიპის.

და ერთმა საშინელმა ფიქრმა წარიტაცა პატივცემულო პეტრე: „რა ღონანა უნდა ქნა კაცმა: სარეწაო კავშირის გამგეობა აგერაა ყურის ძირში; ბინა თავზე მაქვს მოდგმული, ჩაწევი შიგ ჩემო პავლე ამ რბილ საჯდომიანში და იძინე.“

და პირველი მარშრუტის შესახებ ასე უბრძანა პეტრემ შოფერს — პავლეს:

— პირდაპირ, ექსპედიტორთან... პავლე!..

— მიბრძანეთ...

— სულის საცხონებელი საქმე არ გააკეთა იმ გიორგა სტეფანონმა, ეს ავტომობილი რომ გამოიგონა?

პავლემ ვერაფერი თქვა.

— სულ იმ საოხრო სამოვრის ბრალი კი ყოფილა.

— სამოვრის?!

— ჰო, სამოვარი დაუდგამს თურმე გიორგა სტეფანონს. გაუჩაღებია და რაუნახავს იმ ბედნიერ დღეზე დაბადებულს: გახურებულია თუ არა ეს სამოვარი შლეჭა მოუღვინია და გაქცეულა...

— გაქცეულა?!

— აბა, ძლივს დასწევია თურმე... აქედან მოსვლია აზრათ, რომ ეს ყველაფერი პარის ბრალია; ჩაფიქრებულა და ავტომობილი გაუკეთებია.

— მართლა ჭკვიანი კაცი ყოფილა. — ყსიდათ დაუმოწმა შოფერმა.

— მაგრამ ეპ, რას იზამ კაცი, ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლება ჰხვდება ჩვენს ტექნიკას... თუნდაც ამ ემადინის ოდენობა: ოთახში არ ეტევა, კიბეებზე ვერ აღის და რამდენი ასეთი უარყოფითი მხარე აქვს...

მანქანა „ექსპედიტორის“ კარებთან გაჩერდა.

— აქ დამიცი, შეიძლება დამავიანდეს... — თქვა თავმჯდომარემ და კიბეებზე აირბინა.

— დიდხანს ცდის შემდეგ ჩაეძინა პავლეს.

როდესაც პავლეს გამოეღვიძა. ლამის ორი საათი იყო უკვე სიგნალი ააჭყვიტინა. არავინ უბასუხა. მაშინ იმის შიშით — იქნებ თავმჯდომარესაც დაეძინაო, კიბეები აირბინა და უკანასკნელ სართულში „ექსპედიტორის“ ოთახს მიადგა. ზარი დატრეკა. მოსამსახურემ გაუღო კარები და შეიბატიყა.

არტელის პატივცემული თავმჯდომარე პეტრე მაგიდას მისჯდომოდა. გვერდით მშვენიერი ასული უჯდა. მაგიდაზე უხვად ეყარა ლიქიორის ბოთლები და შეჭინჭილებული პეტრე ღლინებდა:

„რა კარგი ხარ, რა კარგი, კოხტა რამე, მჩქეფარე... როცა გარდავიცვალა ზეწრად გადამეფარე...“

— ბოდიში. — დინჯად მიმართა პავლემ.

პეტრე ფეხზე წამოიჭრა და გაბრაზებით აბურტყუნდა:

— უხამსობაა, შეუგნებლობაა, დღედაღამ ვოცნებობ კაცი წვენი ახალი წარმოების ალორძინებაზე და შოფერიც კი არ მამღვებს საშუალებას რომ ვიმუშაო...

\*  
\*  
\*

და მას შემდეგ ასეთი რამ ხდებოდა ექვსი თვის განმავლობაში: დილიდან საღამომდე დაქროლებდა პავლე პეტრეს აქეთ-იქით. საღამოს კი „ექსპედიტორთან“ უკრავდა თავს და ლამის სამ საათამდე კარებთან უცდიდა თავისი მანქანით.

ერთხელ კინალამ გადამწყვეტი სკანდალი მოუხდა პეტრეს.

— გოგილოს აბანოსკენ გასწი, იქ ერთ ამხანაგს უნდა შევხვდე. აუცილებელი საქმე მაქვს... — უთხრა პეტრემ პავლეს.

აბანოსთან გაჩერდა მანქანა.

ორ საათს ელოდენ, არსად გამოჩნდა პეტრეს ნაცნობი... და პეტრე გაბრაზდა:

— მე ვუჩვენებ მაგ უსვინდისოს. ცხარე დღეს დავათენებ... როგორ გაბედა მაგ...

შოფერმა ჰკითხა:

— ვინ უნდა მოსულიყო?

პეტრეს წამოსცდა:

— ექსპედიტორი.

— მერე? აიღე და მოხსენი — თქვა პავლემ.

— საიდან კაცო, საცოლეობიდან?

ახლა მიხვდა პავლე საქმე რაშიც იყო.

პავლემ დააშოშმინა და მუდარით შესთხოვა.

— ექვსი თვეა სახლში არ ვყოფილვარ; ლამის არის შემქამოს ჭუჭყმა, მოდი ვიბანაოთ...

პეტრე დაეთანხმა პავლეს და ორივენი აბანოში შევიდნენ.

პეტრე ტანს იბანდა და აღარ ასვენებდა იმაზე ფიქრი, რომ აუცილებელი იყო აქამდე ექსპედიტორად გასაღებულ საყვარელთან წაჩხუბება და საწყალი მანქანა კი უმუშევრად რჩებოდა...

ჟარაბიოჯა.

## გარეივის ოთხჯერ ყირას...

(ჭიათურა)

კინოთეატრს აშენებენ ფასადი აქვს „ფართე, გრძელი“, ვერ ველირსეთ დამთავრებას წყვილად ვადის ათი წელი...“

ზოგჯერ არგვეთს მიჯაყყაყებს კინობაზის „კოხტა“ ავტო, რომ უჩვენოს რამე ფილმი სოფლელები რომ გაართოს.

მაგრამ გზაში ჩაიჩოქებს.

გადაივლეს ოთხჯერ ყირას..

შემდეგ რემონტს უნდებოდა

სრულ ორსა თვეს, ან რვა კვირას.

შ. ვოლმინაძე.



# ჩახობიელი

## გორელის „ხუმრობა“.

გორის რ. გზ. სადგურის საპირფარეშოთი სარ-  
ვებლობა მხოლოდ ბაქნიდან შეიძლება. ბაქანზე  
გასვლა კი ღირს 25 კაპ.

ანეკდოტი არ გეგონოთ  
არც ზღაპარი ესა,  
სადგურ გორში ამ „ხუმრობას“  
ღებულობენ წესათ.

ვუხსნი კარის კონტროლიორს  
სად მივდივარ, — მაგრამ  
მეუბნება — ნუ ძალაობ  
თორემ ცხვირში გაგკრავ.

საუბრისთვის მოუცლია:  
მკითხა გვარი, ბინა,  
მკითხა ყველა დაწვრილებით,  
თუ ვინა მყავს შინა.



— რათ მოხველი, სად მიდიხარ?  
პროფესია შენი.  
სად იყიდე ეგ გალსტუკი  
რა ლამაზად გშვენის.

კაცი ვართ და ვერ გაუძეულ  
ამდენ დროთა დენას  
გეჩქარება, იწევ გარეთ  
და იკვნეტავ ენას.

— საპირფარეშოში მიხვალ?  
რას დავეძებ, წადი.  
ხუთ შაურს თუ გადაიხდი  
აგისრულებ წადილს.

აბაზათ და ერთ შაურად  
ესტუმრები ბაქანს, —  
თუ არა და ფეხს ვერ გასდგამ  
ასე ვიცით აქა.

მ. კალმოსანიძე.

## უფრო კარგი იქნებოდა...

ქუთაისის ტურისტთა სახლს  
ვეწვიე და ვუძღვნი „ქებას“  
ძილი თვალს ვერ მივიკარე  
მოახლოვდა გათენება

გავიფიქრე: დაღლილი ვარ,  
დავიძინებ მაღიანად,  
გადმოვიღე მეთორმეტე  
საუკუნის „ადიალა“.

ტანზე პალტო დავიფარე,  
თავზე ქოლგა დავიხურე.  
როგორც იქნა ეს სხეული  
ძლივსძლივობით გავიხურე.

როცა გავთბი მკბენარებმა  
ამ ჩემ სისხლით იქეიფეს...  
იმ დანჯღრეულ საწოლზე კი  
მთელი ღამე ვიდრეიფე.

ჩატეხილი მინებიდან  
შემომეჭრა ცივი ქარი,  
ამ ყოფაში როგორც იქნა  
ძლივს ავდექი ცოცხალ-მკვდარი.

რომ ვიფიქრე: ვადავრჩითქო —  
ჩამოინგრა უცბად ჭერი;  
თავს აგური დამეცა და  
სასიკვდილოდ დავიქერი.

ნიანგჩემო ეს წაშვება  
მე, უიღბლოს — ამცდებოდა:  
ის აგური სახლის გამგეს  
გოგორელს რომ დასცემოდა.

არქიფო კაპეტივაძე

## ამ ჩვენ მუკის თავმჯდომარეს...


(სოფ. ჯალალურთი და მოძვი, ჭიათურის რ.)

ბარბაქადის გვარისა ვარ  
წვერცანცარა ზორბა მღვდელი,  
ამ ჩვენ მუკის თავმჯდომარეს  
მოუმართე ღმერთო ხელი.

არასოდეს ხელს არ მახლებს,  
იცის რომ ვარ ცუდის მქნელი,  
ამ კოლმეურნეობებმა  
ცოტა წამომიღვა წელი.

ქელეხი და ნათლობები  
იმართება ხშირად ბევრო,

უბატონოდ ხმას არვინ მცემს,  
ჩემი არის ეს სოფელი.




ვიცი, ბევრ მღვდელს შეშურდება  
ჩემი ადგილ-სამყოფელი,  
ჯერჯერობით კარგადა ვარ,  
თუ არავინ მახლო ხელი.

ნუნუ


## დაიდოსტა...

პურის საცხობს საჩხერისას  
გამგე რამ ჰყავს „ბარაქალა“...  
ამ წელს პურში გაასალა  
ათი ფუთი „ტარაკანა“.



ენერგიულ მუშაობით,  
თავს იჩენდა ჩვენი კოსტა,  
ცომს რომ ზელდა, ხოჭოები  
ისე რივად დაიდოსტა,  
რომ თავისით მიცვივდნენ  
ცომის ვარცლში მწკრივად, კობტად.


ენუქა



ს ს უ  
როგორ ღვება საკითხი ინფლისის მიერ იტალიისათვის სესხის მიცემის შესახებ.

ქართული  
ბიბლიოთეკა

ნახ. ბ. ეფიშვილისა.



— მილორდ, მცირედი მიწყალობეთ, რომ რაიმე შევიძინო!



— აჰა! უკვე შევიძინე! — ან ფული, ან სული!

# აბილგასაკრავი ამბები

## სამი თვეა ველოდებით...

(სოფ. ნუკრიანი, სიღნაღის რაიონი)

ჩვენ კოლმეურნეობაში  
ამას წინათ შესდგა კრება,  
დაადგინეს: „ვინაიდან  
გესურს და ძალზე გვენატრება —

ეს ამბავი, ამავე წუთში  
შევიტანოთ უნდა ოქმში:  
ერთი კოხტა სადალაქო  
აქ გაიხსნეს მოკლე დროში“.

და ჯიხური წამოსჭიმეს,  
ინვენტარიც შეიძინეს,  
შიგ დალაქის მაგიერად  
მურიები დააძინეს.



დილით როცა გასაპარსად  
შესვლა სურდა ნაცნობ კალეს,  
ნაგაზებმა წვერის ნაცვლად  
კალეს ლოყა მოაცალეს.

ძალღები გამოასახლეს  
და... რიგში სდგას კეკეს ქმარი,  
სამი თვეა ველოდებით  
გამპარსველი არსად არი.

პარიკმახერის მოსვლამდე —  
ჩუმად მითხრა გუშინ ქეთომ, —  
გვეშინია რომ ეს „ბუტკა“  
სხვა რამედ არ გააკეთონ...

კუკუ.

## წყალტუბოს ავან-ჩავანი

წყალტუბოს პანსიონატის  
ორ ნომერში მქონდა ბინა,  
უცეცხლობით გავიყინე,  
ქარმაც შიგნით მიქიქინა...

პარიკმახერს მივაკითხე...  
და დამისვა პირზე დანა:  
წვერიმგლიჯე პირი ჰქონდა  
მამაჩემის ხერხისთანა.

ამ ხერხვაში რომ მომშიგდა,  
სასადილო ვინახულე,  
ძლივს ველირსე მოხრაკულ ქაშს,  
სამ საათს რომ ვიმარხულე...

უნივერმალს შევიარე  
მოვითხოვე კბილის ფხვნილი,  
მის მაგიერად შემთავაზეს  
მურაბა და ნივრის წნილი.

საგაზეთო კიოსკში ხომ  
გამყიდველიც ძლივს ბრუნდება,  
ერთი გაზეთის გაყიდვას  
ორი საათი უნდება.

დახურულ ბაზარში შეველ,  
ვერსად ვნახე კარტოფილი...  
ერთი სიტყვით, ამ კურორტით,  
ვრჩები მეტად კმაყოფილი...

გრიბოჭ

## გვარამიას რომანი

(გეგეჭკორის რაიონი)

აქ სკოლის ნადირექტორალს  
გვარამიას გვარადა,  
ამბროსი ჰქვია, — სოფელში  
ვანთქმული არის თამადა.

ქეორე — ალექსანდრეა  
კომორგი იყო წინადა,  
ამბროსის გახლავთ მოგვარე  
და ბედშიც დაეწილადა.

ფეხი აიდგეს თუარა  
ნუნუას დაეტრფილენ,  
ვერ მოსპეს ქვეყნად ჯერ ღვინო  
თუმც უხვად ცლიან ფიალებს...

..სკოლაში მოსულ ამბროს-მთვრალს  
ძთვრალი დაუხვდა ალექსაც,



რომელმაც თურმე მუშტებით  
ფანჯარას „მიულერსა“...

ეს რაა, — ერთხელ ქუჩაში  
ამბროსი გვარამიამა  
თვალი ჰკრა ერთ ქვრივ დედაკაცს,  
გაუღიმა და იამა;

— „ჩემო ჩიტუნავ, ხომ იცი  
შენზე თვალი რომ მიჭირავს,  
გამომყე იქეთ ცოტა ხნით, —  
შენც ხედავ კაი ბიჭი ვარ.

თუ კაცს არ არგებ, — სიტურფეს  
რა სიკვდილისთვის აქნევო...  
მაგრამ იცოდე, გაფრთხილებ  
მკლავზე ხუ მივა საქმეო.

აქ კი „ნესტანმა“ კვილით  
სოფელი ააზრილა:  
გაწყრა, ავესო ტარიელს  
შოთბინებისა ფიალა.

და მიეფარა ორღობეს,  
ალარ აცხელა, აცივა...  
უკან მისდევდა ხალხის და  
მის მოწაფეთა დაცინვა.


ნინაგო, გიძღვნი მათ, ვისაც  
ნამუსის ქუდი არ ხურავს.  
ტკბილად შეგერგოს... მიგულვე  
მეც შენი სუფრის მსახურად.

რახ...

## „რემონტი“

(ს. ლექქიძე. ცხაკაიას რაიონი)

გუშინ ღვინო გადახურა  
„უჩიტელმა“ ქაღარიამ  
და კახურმა სერაფია  
აგრე რიგად გადარია —



რომ თავის და გაიანე  
ქობულოვთან მწყობრად, ერთად  
დაეტაკა კედლის გაზეთს  
და „რემონტი“ გაუკეთა...  
ფუს...



— თოქშ... შე ვერანა, ვერა ხედავ, ხიდი ჩატეხილი ყოფილა!..

## ცხელ-ცხელი ამბები

### მოხერხებული დირექტორი

თბილისის საგზაო ტექნიკუმის დირექტორმა ჩერნიშევმა ორი თვეა, რაც თავის კაბინეტის საათის ისარი უკან გადასწია, რითაც შიის სამსახურში გამოცხადება თორმეტის ნაცვლად, დილის 9 საათით ინიშნება.

სკვინჩა

### იუბილე

თბილისის გზატკეცილების სამმართველოს პარიკმაზერმა გ. ხაჩატუროვმა 22 მარტს იუბილე გადაუხადა თავის ერთადერთ საყვარელ — „სუფთა“ ტილოს და ფუნჯს, რომლებმაც დეზინფექციაში გაუტარებლად სამი კვირის განმავლობაში 1500 კაცს გაუწიეს შომსახურება.

შტრინკი

### ბრძნული გაგოგონება

საჩხერის პედ. სასწავლებლის დირექტორმა კ. კამუშაძემ ბრძანება გასცა: ზამთრის პერიოდში ვაკვეთილების დროს, მასწავლებლებმა და მოწაფეებმა იცეკვონ, რაც გამოიწვევს გათბობასაც და გართობასაც.

ნანი

### გაჯავრებული მასწავლებელი

აბაშის საშ. სკოლის მასწავლებელმა მაკარ ცომიაძემ გუშინ მთელი ნახევარი საათი ფურცლა ფიზიკის წიგნი, მაგრამ ვაკვეთილზე ასახსნელი ფორმულა მინც ვერ აღმოაჩინა, რამაც უზომოდ გააბრაზა და მოწაფეებს დაერია... — ალბათ თქვენ ამომიგლიჯეთ განგებ ფურცელიო.


მოსწავლე

ტიქტი გახსი.




1

— წყნარად ბიჭიკო, უყურე, ჩიტი გამოფრინდება! — ამბობდა ფოტოგრაფი ბავშვის გაჩუმების მიზნით.



4

— დაწყნარდი ჩემო გუგულო, ნახე ერთი რამხელა კოტი გამოფრინდება...




2

— გაჩუმდი ჩემო ჩიტუნია, უყურე სკვინჩა გამოფრინდება ამ წუთში!..




5

— ჩემად: ხმა ჩაიკმინდე თორემ ამ წუთში აქლემი გამოფრინდება! — შეპკვილა გამწარებულმა ფოტოგრაფმა და სურათის გადაღება როგორც იყო მოასწრო.



3

— გაჩუმდი შე სალახანავ. ვერა ხედავ, რომ ინდაური უნდა გამოფრინდეს?



6

— რალს მატყუებდი, თავიდანვე გეთქვა, რომ ეშმაკი გამოფრინდებოდა! — უსაყვედურა ბავშვმა ფოტოგრაფს, როცა გადაღებულ სურათში თავისი თავი დაინახა.